

დოკუმენტები.

ქართულ ეროვნულ პარტიის ევროპის კომიტეტის სახელით 26 მარტს 1917 წელს გაგზავნა ქალაქ ვენევიდან (შვეიცარია) რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს თავდს ლეოვს შემდეგი დეპეშა:

„ქართულ ეროვნულ პარტიის ევროპის სექციის სახელით გვაქვს პატივი მოვავლოთ რუსეთის დროებითი მთავრობას, რომ მას აქვთ რაპ მოხდა რუსეთში პოლიტიკური რეჟიმის შესვლა და თანხმად დროებითი მთავრობის მანიფესტისა, რომელიც უზრუნველ ჰყოფს დაჩაგრულ ერების თავისუფლებებს, საქართველოს აქვს უფლება მოითხოვოს აღდგენილ იქმნენ მისი ყველა უფლებანი და მამასადამე აქვს უფლება დაუყოვნებლივ შეუდგეს ქართულ დამფუძნებელ კრების მოწვევას, რომელიც შეიმუშავებს საქართველოს კონსტიტუციას და აღადგენს ავტონომიურ (დამოუკიდებელ) საქართველოს მთელ მის ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზღვრებით რუსეთის პროტექტორატის ქვეშ, თანხმად რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წელს დადებულ ტრაქტატებისა, რომელნიც დარღვეული იქმნენ რუსეთის მიერ საქართველოში შემოსვლისთანავე.

საქართველოს აქვს აგრეთვე უფლება აღადგინოს თავისი ეკლესიის ავტოკეფალია, მოსაზობილი ძველი რეჟიმის მიერ მიუხედავად იმავე 1783 წლის ტრაქტატებისა და კანონიერ უფლებებისა, და მამასადამე აქვს უფლება ძველი რეჟიმის დანგრევის შემდეგ აირჩიოს საკუთარი კათალიკოსი და მოსთხოვოს რუსის მთავრობას დაუყოვნებლივ გაიწვიოს რუსის ეგზარხოსი თბილისიდან.

რუსეთისა და საქართველოს დამფუძნებელმა კრებებმა უნდა განიხილონ 1783 წლის ხელშეკრულობანი და შეიმუშაონ პროტექტორატის ახალი ხელშეკრულება“.

ქართულ ეროვნულ პარტიის ევროპის კომიტეტის წევრები:

ლ. კერესელიძე, გ. კერესელიძე, მ. წერეთელი.

ამ დეპეშის კოპიები დეპეშითვე გაგზავნათ საფრანგეთის სამინისტროს თავმჯდომარეს ბ-ნ რიბოს და ინგლისის სამინისტროს თავმჯდომარეს ბ-ნ ლოიდ ჯორჯს შემდეგი წინასიტყვაობით:

„ბატონო მინისტრთა თავმჯდომარეებ, გვაქვს პატივი გასწავლობთ, რომ შემდეგი დეპეშით მიგმართეთ რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს თავდს ლეოვს“.

იმავე დღეს შემდეგი დეპეშა გაგზავნა ეპისკოპოს ლეონიდს:

ქ. ფიოთი.
ეპისკოპოს ლეონიდს.

გვაქვს პატივი ვთხოვთ თქვენს ყოვლად სასულიეროს შუამდგომლობით საქართველოს ყველა ეპისკოპოზებს და მთელს სამღვდელთაგან ჩვენი პარტიის აზრი, რომლის მიხედვითაც საქართველოს აქვს უფლება აღადგი-

ნოს თავისი ეკლესიის ავტოკეფალია, მოსაზობილი ძველი რეჟიმის მიერ წინააღმდეგ 1783 წლის ხელშეკრულობისა და კანონიერ უფლებებისა და მოითხოვთ რა გავწეულ იქმნეს რუსის ეგზარხოსი თბილისიდან, დაუყოვნებლივ შეუდგეთ საქართველოს კათალიკოსის არჩევანს, თანხმად რუსეთის დროებითი მთავრობის მანიფესტისა.

ქართულ ეროვნულ პარტიის ევროპის კომიტეტის წევრები:

ლ. კერესელიძე, გ. კერესელიძე, მ. წერეთელი.

იმავე დღეს გაგზავნილ იქმნა შემდეგი დეპეშა: თბილისი

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.

გვაქვს პატივი ვთხოვთ რედაქციას რათა მან შეატყობინოს ქართველ საზოგადოებას ჩვენი პარტიის აზრი, რომლის მიხედვით, რუსეთის ძველი რეჟიმის დანგრევის შემდეგ, საქართველოს აქვს უფლება დაუყოვნებლივ შეუდგეს საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევას, რომელიც შეიმუშავებს რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მის ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზღვრებში აღდგენილ ავტონომიურ საქართველოს ეროვნულ კონსტიტუციას. საქართველოს აქვს უფლება აგრეთვე ამოიჩიოს ქართველი ეკლესიის კათალიკოსი.

საქართველოს აქვს უფლება მოიყვანოს ისტორიკოსი აქტები მიხედვით 1783 წლის ხელშეკრულობისა, რომელიც დარღვეული იქმნა რუსეთის ძველი რეჟიმის მთავრობის მიერ და რომელიც შევიდა ძალაში ამ რეჟიმის მოსაზობის უშალ.

ამავე შინაარსის დეპეშები გაგზავნათ რუსეთის დროებითი მთავრობას, ბატონს მინისტრთა თავმჯდომარეს რიბოს და ბატონს მინისტრთა თავმჯდომარეს ლოიდ ჯორჯს“.

ქართულ ეროვნულ პარტიის ევროპის კომიტეტის წევრები:

ლ. კერესელიძე, გ. კერესელიძე, მ. წერეთელი.

პარიზის ქართველთა კლონიამ მიმართა ბ-ნ კერესელის, რუსეთის სამართლის (იუსტიციის) მინისტრს შემდეგის დეპეშით:

„პარიზში მყოფი ქართველები აღტაცებით უძღვნიან საღამს რევოლუციის საბოლოო გამარჯვებას.

საქართველო, შეკავშირებელი რუსეთთან საკუთარის სურვილით 1783 წელს, ელის ლოიალურ რესპუბლიკიდან თავის სრულ დამოუკიდებლობის აღდგენას და დაბრუნებას ყველა იმ გამართულ ისტორიულ სიმდიდრისას, რომელსაც ქართველი ერი ინახავდა დიდი სიამაყით მრავალ საუკუნოების განმავლობაში.

იმ აუწერლ ტანჯვის, რომელსაც აყენებდა ძველი რეჟიმი სულ უმიზეზოდ 114 წლის განმავლობაში თავის ნებით რუსეთთან შეკავშირებულ ფან მძღოლთა ქარ-